


უთქმელი ამბები

დაბრუნებული ქართველი
მიგრანტების ფოტოისტორიები

STORIES UNTOLD

Return of Georgian Migrants in Photos





უთქმელი ამბები

დაბრუნებული ქართველი
მიგრანტების ფოტოისტორიები

STORIES UNTOLD

Return of Georgian Migrants in Photos



The opinions expressed in the report are those of the authors and do not necessarily reflect the views of the International Organization for Migration (IOM). The designations employed and the presentation of material throughout the report do not imply expression of any opinion whatsoever on the part of IOM concerning legal status of any country, territory, city or area, or of its authorities, or concerning its frontiers or boundaries.

IOM is committed to the principle that humane and orderly migration benefits migrants and society. As an intergovernmental organization, IOM acts with its partners in the international community to: assist in the meeting of operational challenges of migration; advance understanding of migration issues; encourage social and economic development through migration; and uphold the human dignity and well-being of migrants.

Publisher: International Organization for Migration, Mission to Georgia

12 Tengiz Abuladze Street, 1st Lane Vake District

Tbilisi 0162

Georgia

Tel: (+995 32) 225 22 16

Fax: (+995 32) 225 22 17

E-mail: iomtbilisi@iom.int

Website: www.georgia.iom.int

This publication has been issued without formal editing by IOM.

Cover photo and photos used in the book: © IOM 2019/Dina Oganova

© 2019 International Organization for Migration (IOM)

All rights reserved. No part of this publication may be reproduced, stored in a retrieval system, or transmitted in any form or by any means, electronic, mechanical, photocopying, recording, or otherwise without the prior written permission of the publisher.

წინასიტყვაობა

„უთქმელი ამბები – ქართველი დაბრუნებული მიგრანტების ფოტოსტორიები“ მოიცავს იმ ქართველი მიგრანტების ამბებს, რომლებიც საზღვარგარეთ ყოფნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) დახმარებით ცხოვრება თავიდან დაიწყეს. ის, რაც მათ მიგრაციის დროს განიცადეს, მიუხედავად იმისა, იყო საზღვარგარეთ მათი ცხოვრების პერიოდი ხანგრძლივი თუ ხანმოკლე, მარტივი თუ რთული, სასიამოვნო თუ გამოწვევებით სავსე, სამუდამოდ დატოვებს კვალს მათ, მათი ოჯახების და იმ საზოგადოების ცხოვრებაზე, სადაც ისინი დაბრუნდნენ.

სამშობლოში დაბრუნებულებმა IOM-ს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება მიგრაციის და დაბრუნების შესახებ იმ იმედით, რომ შესაძლოა მათი ისტორიები სხვებს დაეხმაროს მიგრაციასთან დაკავშირებით გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღებაში ორივე შემთხვევაში, როდესაც ისინი თავიანთი ქვეყნის დატოვებას გეგმავენ, ან პირიქით, დაბრუნებაზე ფიქრობენ. ეს არ გახლავთ უბრალოდ ისტორიები წარმატებისა თუ მარცხის შესახებ – მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ თითოეულ ისტორიას საფუძვლად უდევს ძლიერი ადამიანური ფაქტორი.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია – გაეროს მიგრაციის სააგენტო – წარმოადგენს წამყვან მთავრობათაშორის ორგანიზაციას მიგრაციის სფეროში და მჭიდროდ თანამშრომლობს სამთავრობო, მთავრობათაშორის და არასამთავრობო პარტნიორებთან. ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის (AVRR) პროგრამების ფარგლებში IOM მიზნად ისახავს იმ მიგრანტების მოწესრიგებული, ჰუმანური და ეკონომიური დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობას, რომელთაც არ შეუძლიათ ან არ სურთ დარჩენა დანიშნულების ქვეყნებში და გეგმავენ სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებას.

Foreword

“Stories Untold: Return of Georgian Migrants in Photos” features personal accounts of Georgian migrants who returned to their home country after their time overseas and rebuilt their lives in Georgia with the support of the International Organization for Migration (IOM). Their migration experiences — whether they were lengthy or brief, straightforward or complex, enjoyable or challenging — will forever affect their lives, the lives of their families and those of the communities they have returned to.

The returnees shared their stories about migration and return with IOM, with the hope that their experiences could help others make an informed migration decision both if they are considering leaving their country or if they are contemplating returning to it. These are not simply stories of success or failure — it is important to understand that each account has a strong human element at its heart.

The International Organization for Migration – The UN Migration Agency, is the leading intergovernmental organization in the field of migration and works closely with governmental, intergovernmental and non-governmental partners. Through its Assisted Voluntary Return and Reintegration (AVRR) Programmes, IOM aims to achieve orderly, humane and cost-effective return and reintegration of migrants who are unable or unwilling to remain in host countries and wish to return voluntarily to their countries of origin.

სანია ჩელებიჩ ლუკოვაც / Sanja Celebic Lukovac

IOM-ის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი

IOM Georgia Chief of Mission





არჩილ შელია 47 წლის / ფოთი

გადავწყვიტეთ, უკან წამოვსულიყავით, ჩვენს სახლში მაინც ვიქნებოდით.

პროფესიით ეკონომისტი ვარ და ახლა ფოთში საწყობის ცვლის უფროსად ვმუშაობ. 2015 წელს გერმანიაში წავედით მთელი ოჯახი: მე, მეუღლე და ორი შვილი. ჩემი მეუღლის ავადმყოფობა იყო მთავარი მიზეზი. 3 წელი გავჩერდით, ლტოლვილად ჩავბარდით. პირველი 21 დღე ბანაკში ვცხოვრობდით, მერე დროებით საცხოვრებელში გაგვანაწილეს, პირველი 6 თვე იყო ძალიან რთული, სანამ ავეწყობოდით, მერე ჩვენ ენის კურსებზე დავდიოდით, უფროსი ბიჭი სკოლაში შევიდა, გოგო – ბაღში.

დრებდენის კლინიკაში რომ დავიწყეთ სიარული და ანალიზების ჩაბარება, რისკვაქტორი კი იყო, მაგრამ ახალი ანალიზებიდან გამომდინარე, ჩემს მეუღლეს ჩვეულებრივად შეეძლო ცხოვრების გაგრძელება, გვითხრეს, რომ უბრალოდ სჭირდება გამოკვლევაზე სიარული. ღვთის წყალობით, რომ არ დასჭირდა არაფერი, გადავწყვიტეთ, უკან წამოვსულიყავით, ჩვენს სახლში მაინც ვიქნებოდით.





Archil Shelia, 47 / Poti

We decided to return, at least we would be home.

I am an economist by profession, I am currently working as a head of shift in Poti warehouse. In 2015, our whole family went to Germany: my wife, my two children and I. The main reason was my wife's illness. We stayed there for 3 years, registered as refugees. We lived in a camp for the first 21 days, then we were provided with a temporary accommodation. First 6 months were most difficult, before we got used to everything. Then we started the language courses; our son started school and our daughter went to kindergarten.

When we first went to a clinic in Dresden, there were some risk factors for my wife, but based on the new test results, my wife could continue her life as usual. We were told, that she needed to do tests from time to time. Thank God she didn't need anything. We decided to return, at least we would be home.



ციური განდელიძე 63 წლის / სოფელი ბობოყვათი

იქ ყოფნის დროსაც ყველაზე კარგად ის მახსენდება, თვე რომ მთავრდებოდა და ხელფასს მაძლევდნენ, რომ მე ოჯახში გადმომეგზავნა.

დიასახლისი ვარ, ქვრივი. სამი შვილი და შვილიშვილი მყავს და ყველანი ერთად ვცხოვრობთ. პენსიონერი ვარ. ათენში ვიყავი და მოხუცს ვუვლიდი, სულ 8 თვე ვიყავი იქ, ენა რომ არ ვიცოდი, ეს დიდ დისკომფორტს მიქმნიდა, არ მესმოდა, რა უნდოდა, რა უნდა მეკეთებინა, თან არც მე ვიყავი ახალგაზრდა, ჯანმრთელობის პრობლემები დამეწყო, შაქარი, წნევა, ვედარ გავჩერდი და წამოვვი. რასაც ვმუშაობდი, ცოტას ვეხმარებოდი ჩემს დიდ ოჯახს. იქ ყოფნის დროსაც ყველაზე კარგად ის მახსენდება, თვე რომ მთავრდებოდა და ხელფასს მაძლევდნენ, რომ მე ოჯახში გადმომეგზავნა.

აქამდე საზღვარგარეთაც კი არ ვყოფილვარ, ამ სიბერეში მაინტერესებდა, როგორ ცხოვრობენ ჩემს სოფელს იქით და ესეც ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის, თუმცა, სადაც მე დავიბადე, გავიზარდე და ვცხოვრობ, მაგაზე კარგი ადგილი არ მეგულება საერთოდ.

2019 წლის აგვისტოში ჩამოვედი.

სოფელში საქონელი თუ არ არის ოჯახში, ის ოჯახი მშვიერია – ასე ამბობენ.

IOM პროგრამის საშუალებით ძროხები შევიძინე, მერე ერთი გავყიდე და ვიყიდე ღორი. ახლა კიდევ რვა გოჭი მყავს, ხბოც მყავს და 200-მდე წიწილაც, ხან კვერცხი, ხან რძე, ხან ყველი და ვატრიალებ ასე ყველაფერს.

ამ დახმარებამ ჩემს ოჯახზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა და, რაც ჩამოვედი, ცოტა უკეთ ვართ ოჯახშიც ფინანსურად, ერთადერთი, რასაც ვისურვებდი, რომ ჩემს შვილებს სამომავლოდ ჰქონდეთ სამსახური, რომ ოჯახის შენახვა შეძლონ.







Tsiuri Gandelidze, 63 / Village Bobokvati

My best memory from being away is the end of each month, when I was receiving my salary and sending it back to my family.

I am a housewife, a widow. I have three children and a grandchild and we all live together, I am a pensioner. When I was in Athens I was looking after an elderly person. I stayed there for 8 months only. Not knowing a language was a big discomfort for me. I didn't understand what the person wanted, what I had to do. I was not young either. I started to have health problems, diabetes, high blood pressure. I couldn't take it and came back. I was helping my big family with what I earned. My best memory from being away is the end of each month, when was I receiving my salary and sending it back to my family. That was my first experience abroad. It was interesting for me to see at my old age, what the life was like outside my village. However, for me there is no better place than the place where I was born and raised. I came back in August 2019.

If a family does not have cattle in the village, the family is hungry — they say. I bought cows with the help of IOM programme, then I sold one cow and bought a pig. I now have eight piglets, a calf and up to 200 chicks. I sell eggs, milk, cheese. The assistance was very important for my family. We have been better off financially since I came back. The only thing I wish for is for my children to have jobs in the future and be able to support the family.







გენრიეტა ნამჩევაძე 69 წლის / სოფელი პატრიკეთი

თავიდან ენა არ ვიცოდი, მხოლოდ რაღაც სიტყვები და ძალიან სასაცილო იყო, როგორ ვაგებინებდით ერთმანეთს მუნჯურად, რა გვინდოდა, მაგრამ მერე მალე ავლაპარაკდი.

ათენში ჩასვლისთანავე დავიწყე მუშაობა ოჯახში, დამხმარედ. 10 წელი ამ ოჯახში გავატარე. თავიდან ენა არ ვიცოდი, მხოლოდ რაღაც სიტყვები და ძალიან სასაცილო იყო, როგორ ვაგებინებდით ერთმანეთს, მაგრამ მერე მალე ავლაპარაკდი.

მთლიანობაში 17 წელიწადი ვიყავი და ერთადერთი, რაც ვთქვი წამოსვლისას, როგორ წავიდე აქედან ისე, რომ ლიკაბეტი და აკროპოლი არ ვნახო და გავისეირნე მანდ.

2018-ში რომ ჩამოვედი, IOM პროგრამის დახმარებით დავწერე ბიზნესგეგმა, რომ მინდოდა სათბურები და დამაფინანსეს. ჩვენი კიტრი გვაქვს, პომიდორიც, ჩემი შვილი უვლის ყველაფერს, მეც ვეხმარები შეძლებისდაგვარად.

Genrieta Namchevadze, 69 / Village Patriketi

I didn't speak the language at first, I only knew some words and it was very funny how we tried to communicate with each other. But soon, I learned the language.

I started to work for family as soon as I arrived in Athens. I spent 10 years with this family. I didn't speak the language at first, I only knew some words and it was very funny how we tried to communicate with each other. But soon, I learned the language. I stayed for 17 years and the only thing I said when I was leaving was that I could not leave the place without seeing Lycabettus and Acropolis, so I visited those places.

I came back in 2018. I wrote a business plan with the help of IOM. I wanted to start a greenhouse and I received the funding for it. We grow cucumbers, tomatoes. My child looks after everything and I try to help as much as I can.









ბიორგი ბუხრაძე 38 წლის / სოფელი წინანდალი

თან წამოსვლაც მინდოდა უკვე და თან არც მინდოდა, იმდენი რამე გავყიდეთ, იქ წასასვლელი ფული რომ გვქონოდა, მენანებოდა ეს ყველაფერი.

გერმანიაში გვყავდა ახლობელი, რომელმაც გვითხრა, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანა არის ევროპაში...რომ არ გავვიჭირებოდა იქ. მაშინ ჯერ კიდევ ვიბები იყო და ჩვეულებრივი ტურისტული ვიზით წავედი. ერთი ქუთაისელი კაცი დაგვეხმარა გაკეთებაში.

ლტოლვილებად ჩავბარდი კარლსრუეში. რამდენიმე საათის მერე მოვიდა ავტობუსი, რომელმაც გადაგვიყვანა ჰაიდელბერგში. იქ ორი თვე ვიყავით, მერე იქიდან წამოგვიყვანეს და საერთო დიდ ბაზაზე დავსახლდი. ქართველებიც ბევრი ვიყავით, სადღაც 20 კაცამდე.

კარვებში პფორცჰაიმის ტყესთან ერთი კვირა გავატარეთ და მერე, რადგან ჩემი მეუღლე ფეხმძიმედ იყო, წამოგვიყვანეს მულაკერში. სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან გვიწევდა ყოფნა და ცხოვრება. ესეც ძალიან რთული იყო.

ჩემი მეუღლეს სულ ავადმყოფობდა, თან წამოსვლაც მინდოდა უკვე და თან არც მინდოდა, იმდენი რამე გავყიდეთ, იქ წასასვლელი ფული რომ გვქონოდა, მენანებოდა ეს ყველაფერი.

Giorgi Bukhradze, 38 / Village Tsinandali

I wanted to leave, but I also wanted to stay. We gave up so much and sold so many things to collect enough money for this purpose. I felt big remorse. Was all this for nothing?

We had an acquaintance in Germany, who told us that it was one of the best countries in Europe... that life there would be easy. Back then, we were still using visas and we left on ordinary tourist visa. One guy from Kutaisi helped us with arranging documents for that.

We registered as refugees in Karlsruhe. After several hours, a bus arrived that took us to Heidelberg. We stayed for two months there. Then we were transported and were settled in a large community base. There were many Georgians too, up to 20 persons.

We spent one week in tents near Pforzheim Forest and then, because my wife was pregnant, we were taken to Mühlacker. We stayed and lived with people of different nationalities. It was very difficult. My wife was often ill. I wanted to leave, but I also wanted to stay. We gave up so much and sold so many things to collect enough money for this purpose. I felt big remorse. Was all this for nothing?









ინეზა დოლაბერიძე 60 წლის / სოფელი გეგუთი

მე რომ მეგონა, ოჯახს ვაშენებდი, თურმე თავზე მენგრეოდა ყველაფერი და ისევ ჩემი გასაკეთებელი გახდა.

ემიგრაციაში 15 წელი ვიყავი. პროფესიით ექთანი ვარ, მაგრამ ამ განხრით არასდროს მიმუშავია. ბანკის ვალი გვექონდა ძალიან დიდი. ოჯახის გადასარჩენად არჩევანი მიგრაციაში სამუშაოდ წასვლაზე შევაჩერე.

2003 წელს გავემგზავრე საბერძნეთში. ჩასვლიდან ზუსტად 6 დღეში ვიშოვე სამსახური და 11 წელი იმავე ოჯახში ვიმუშავე.

2012 წელს პირველად ჩამოვედი და 4 წელი საქართველოში ვიყავი.

მე რომ მეგონა, ოჯახს ვაშენებდი, თურმე თავზე მენგრეოდა ყველაფერი და ისევ ჩემი გასაკეთებელი გახდა. შვილიშვილები მყავს უკვე და 2016-ში ისევ წავედი, მაგრამ უკვე ძალიან გამიჭირდა. ჩემი კუთხე მინდოდა, ყველაფერი მენატრებოდა და 2018-ში უკან ჩამოვედი. ჩამოტანილი ფულით და IOM-ის პროგრამის საშუალებით შევიძინე წიწილები. დიდი ფერმა გვაქვს, ქათმებს ვზრდით და ვყიდით, მაგრამ კიდევ გვინდა გაფართოება. მე მინდა სოფელში, ჩემს სახლში ყოფნა, არ შემიძლია მის გარეშე.





Ineza Dolaberidze, 60 / Village Geguti

I thought that I was helping the family while I was away, but I found out that everything was collapsing, and I was the only one who could fix it.

I was a migrant for 15 years. I am a nurse by profession, but I haven't worked in this field. We took a big loan from a bank. So, I decided to migrate to save the family.

In 2003, I went to Greece. In exactly 6 days after arrival I found a job and I worked for one family for 11 years. In 2012, I first came back and stayed in Georgia for 4 years. I thought that I was helping the family while I was away, but I found out that everything was collapsing, and I was the only one who could fix it. I already had grandchildren and in 2016, I decided to leave again, but this time I found it very difficult. I was missing my village; I was missing everything and in 2018 I came back. With the money that I collected and with IOM's support, I bought chicks. We have a big farm and we grow and sell chickens, but we want to expand. I want to stay in my village, in my house, I cannot live without all this.



ლანა ბაჩიბერაძე 35 წლის / თბილისი

გერმანიაში ლტოლვილად ჩავბარდით და თითქმის 4 წელი იქ ვიცხოვრეთ, მეუღლე მუშაობდა, მე კი დიასახლისი ვიყავი. ოთხი წლის მერე ჩვენი ნებით წამოვედით.

9 წლის განმავლობაში მე და ჩემს მეუღლეს არ გვყავდა შვილი. ყველაფერი ვცადეთ, რაც კი საქართველოში იყო შესაძლებელი. შემდეგ გვირჩიეს, რომ გერმანიაში წავსულიყავით გამოკვლევაზე. სასწაული მოხდა, იქ ჩასვლისთანავე დავფეხმძიმდი და გიოც ძალიან მალე გაგვიჩნდა. გერმანიაში ლტოლვილად ჩავბარდით და თითქმის 4 წელი იქ ვიცხოვრეთ, მეუღლე მუშაობდა, მე კი დიასახლისი ვიყავი. ოთხი წლის მერე ჩვენი ნებით წამოვედით. IOM-ის დახმარება ჩვენი სახლის რემონტს მოვახმარეთ, თუმცა ჯერ მაინც ვერ გადმოვდივართ აქ საცხოვრებლად, რადგან გვჭირდება დრო, რომ ავეჯის შექმნა შევძლოთ. ეს ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია. პროფესიით მხატვარი ვარ, გაფორმება და დიზაინი მაქვს დამთავრებული, მაგრამ ჩემი პროფესიით არასდროს მიმუშავია. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მალევე დავოჯახდი და ვეღარ მივხედე ჩემს კარიერას. ახლა ბავშვი მყავს პატარა, 3 წლის და ვარ დიასახლისი, მაგრამ ძალიან მინდა სამსახურის დაწყება.







Lana Bachiberadze, 35 / Tbilisi

We registered as refugees and lived in Germany for almost 4 years. My husband was working, I was taking care of the house. After four years of our life there we decided to come back.

My husband and I didn't have children for 9 years. We tried everything whatever was possible in Georgia. In fact, we spent all the money we had on doctors, but with no result. Then we were advised to go to Germany for examination. It was a miracle – I became pregnant as soon as we arrived and soon we had Gio. We registered as refugees and lived in Germany for almost 4 years. My husband was working, I was taking care of the house. After four years of our life there we decided to come back. With IOM's assistance we renovated our house, but we can't move in yet. We need time to be able to buy furniture. This is most important at this stage. I am an artist by profession, I studied design, but I have never worked as a designer. I got married soon after I left university and I couldn't pursue my career. Now I have a 3-year-old child, I am a housewife, but I want to start working.



ლელი ფირცხალაიშვილი 60 წლის / ქუთაისი

ახლა ქუთაისში მეორეული სამოსის ბიზნესი მაქვს და წასვლაზე ნამდვილად აღარ ვფიქრობ.

პროფტექნიკუმი ერქვა მაშინ და იქ ვსწავლობდი, რომ მერე ფოსტაში მემუშავა. მერე რეზინის ქარხანაში ვიმუშავე 13 წელი, დეტალებს ვახარისხებდი, მაგრამ ესეც დაიხურა და დავრჩი უმუშევარი.

ნათესავები მყავდა საბერძნეთში და მათი დახმარებით სამსახურიც ვიპოვე.

თითქმის 7 წელი ათენში გავატარე, ხან ერთ ბებიას ვუვლიდი, ხან მეორეს.

საზღვარგარეთაც პირველად ვიყავი, ძალიან გამიჭირდა ოჯახისგან ასე შორს ყოფნა, უცხო ქალაქში, უცხოენოვანი ადამიანების გარემოცვაში, მაგრამ რა უნდა მექნა, ხომ უნდა გვეცხოვრა?

საბერძნეთში ძალიან ბევრი ქართველია და ყველა ცდილობს ერთმანეთს გვერდში დაუდგეს. კვირა დღე დასვენებისა გვქონდა და ერთად გავდიოდით ყავის დასალევად, სალაპარაკოდ და ხან უბრალოდ ერთად ვტიროდით.

ახლა ქუთაისში მეორეული სამოსის ბიზნესი მაქვს და წასვლაზე ნამდვილად აღარ ვფიქრობ.





Leli Pirskhalaishvili, 60 / Kutaisi

I now have second-hand clothes store in Kutaisi and I am definitely not thinking of leaving any more.

I studied at what was then called a vocational technical university, I wanted to work for the post office after graduation. I worked at a rubber factory for 13 years, my job was to sort small parts, but the factory closed and I was left unemployed.

I had relatives in Greece and I found a job with their help. I spent almost 7 years in Athens, looking after elderly ladies. It was the first time I was abroad. I found it difficult to be so far away from my family, in a foreign city, surrounded by people speaking a foreign language, but what could I do? I had to earn my living.

There are many Georgians in Greece and everybody tries to support each other. We did not work on Sundays and we went to have coffee, to talk or sometimes we just cried together.

I now have second-hand clothes store in Kutaisi and I am definitely not thinking of leaving any more.





ლელი ბერაძე 63 წლის / წყალტუბო

დაგროვებით ვერაფერი დავაგროვე, რასაც ვშოულობდი ყველაფერს სახლში ვაგზავნიდი.


ოჯახის საერთო საჭიროებისათვის ჩემს მეუღლეს ვალი დაედო და ამიტომ, 2004 წელს, გადავწყვიტე, რომ საბერძნეთში წავსულიყავი, რათა მემუშავა და ვალი გაგვესტუმრებინა.

დაგროვებით ვერაფერი დავაგროვე, რასაც ვშოულობდი ყველაფერს სახლში ვაგზავნიდი.

იმის მიუხედავად, რომ ძალიან გამიშართლა და საბერძნეთში ძალიან თბილ ადამიანებთან მოვხვდი, მაინც მინდოდა ჩემს ოჯახთან ყოფნა. თან უკვე იმასაც ვფიქრობდი, რომ ჩამოვალ, რამე ელემენტარული საარსებო ხომ გვჭირდება და ბიზნესგეგმა დავწერე. მე რომ წავედი წყალტუბოდან, რომელიც ყოველთვის მიმზიდველი ადგილი იყო ტურისტებისთვის თავისი წყლის გამო, ყველაფერი გაჩერებული იყო. გავიგე, რომ ისევ ამუშავდა ტურიზმი, გადავწყვიტე, სახლში მქონდა ერთი ზედმეტი ოთახი და ის მომეწესრიგებინა დამსვენებლებისთვის, რემონტიც გავაკეთე, მაგრამ ტექნიკა არ მქონდა და ამით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ძალიან დამეხმარა. შემიძინა სარეცხი მანქანა, ტელევიზორი და რაც მჭირდებოდა. ბევრი დამსვენებელი კი არ გვყავს, მაგრამ, იმედია, რამე იქნება.







Lelo Beradze, 63 / Tskaltubo

I couldn't make any savings. I sent home whatever I earned.

My husband took a loan for our family, so in 2004 I decided to go to Greece to work and pay the debt. I couldn't make any savings. I sent home whatever I earned.

Although I was very lucky and worked for very warm and friendly people, I still wanted to be with my family. I was also thinking, that after my return home we would need some sort of income. So, I wrote a business plan. When I left, nothing was working in Tskaltubo, which had always been an attractive place for tourists, because of mineral water. While I was away, I kept hearing that it was becoming a popular tourist destination. I decided to renovate an extra room in my house for tourists. I decorated it, but I didn't have the equipment and the International Organization for Migration helped me with that. They purchased washing machine, TV for me and many things I needed. We do not have many visitors yet, but we hope that we will have them soon.



ლევან ჭავჭავანიძე 44 წლის /ფოთი

მთლიანობაში 9 თვე ვიყავი წასული. პირველი, რაც გავაკეთე, რომ ჩამოვედი, ოჯახს ჩავეხუტე.

სანამ ირლანდიაში წავიდოდი, პატარა სამშენებლო კომპანია მქონდა, მაგრამ კომპანიაში დაიწყო პრობლემები და დიდი ვალი დამედო, რომელსაც ვერ ვიხდიდი. გადავწყვიტე წავსულიყავი, მემუშავა და ყველაფერი გამესტუმრებინა.

ბანაკში ვცხოვრობდით თავიდან, მაგრამ მერე გადანაწილება რომ მოხდა, აღმოჩნდი ფსიქიატრიულში – ასე გადაანაწილეს.

ეს იყო საშინელება! იქ წამდვილად ვერ გავუძელი. მთლიანობაში 9 თვე ვიყავი წასული.

პირველი, რაც გავაკეთე, რომ ჩამოვედი, ოჯახს ჩავეხუტე, მერე IOM-ის პროგრამის საშუალებით კურდღლის ბიზნესი წამოვიწყე და მინდა, ამას მივყვე. პირველ ეტაპზე, რაღაც შეცდომებიც კი დავუშვი, მაგრამ თან ვისწავლე კიდევ, მინდა, რომ ეს საქმე გავაგრძელო. პატარა მიწა მაქვს, აქ ბოსტნეულს ვერ მოვიყვან.





Levan Chavchanidze, 44 / Poti

I was away for 9 months. The first thing I did when I came back, was to hug my family.

Before I went to Ireland, I had a small construction company, but the company started to have problems and I ended up with a big debt, which I couldn't pay. I decided to leave, work and pay everything off. In the beginning we lived in a camp, but then we were placed in different locations — I was allocated to a mental hospital — this was just how we were distributed.

It was horrible! I couldn't take it. I was away for 9 months. The first thing I did when I came back, was to hug my family. The second thing I did, was to start a rabbit farm with the help of IOM and I want to keep doing this. At first, I made some mistakes, but I learned some things as well and I want to continue working in this direction. The small land that I have is not enough for me to grow vegetables.







ლია ლაიბურიშვილი 55 წლის / სოფელი რუისპირი

წასვლაზე აღარ მიფიქრია, აღარც შემძლია და აღარც ჩემი მეუღლის დატოვება მინდა მართლ.

ვფიქრობ, დარჩენილი ცხოვრება ერთად გავატაროთ.

მასწავლებელი ვარ, ქართული ენის და ვმუშაობდი კიდევაც ჩემი პროფესიით, მაგრამ მერე ჩემი სკოლა დაიშალა. 5 წელი ჯერ თელავში, სამკერვალოში ვმუშაობდი და ესეც დაიხურა. მერე ცოტახანს მალაზია გვქონდა, მაგრამ დავკვეთეთ და უკვე ძალიან გაგვიჭირდა. იძულებული გავხდი, რომ წავსულიყავი საბერძნეთში. 9 წელი ვიყავი ზუსტად. 2018 წელს ჩამოვედი დეკემბერში, წასვლაზე აღარ მიფიქრია, აღარც შემძლია და აღარც ჩემი მეუღლის დატოვება მინდა მართლ. ვფიქრობ, დარჩენილი ცხოვრება ერთად გავატაროთ.

ჩემი მეუღლე ძალიან ყოჩაღია, სულ შრომობს. ფუტკარი შევიძინეთ ახლა და მაგაში ჩვენი გოგო გვებმარება. ვენახი გვაქვს დიდი, საფერავის და ქინძმარაულის. გვაქვს 200 ძირი ატამი, საბამთრო, ნესვი, კიტრი, პომიდორი. დიდი ფერმა გვაქვს. რაც ჩამოვედი, კიდევ IOM-ის პროგრამის დახმარებით შევიძინეთ ქათმები, წიწილებიც გვყავს და ძროხებიც. სოფლის ხალხი ვართ და სოფლის მეურნეობას ვეწევი. დაუღლეი ადამიანია ჩემი მეუღლე, იმდენს შრომობს, თან მხოლოდ ერთი შვილი გვყავს, მაგრამ არ ჩერდება და სამომავლოდაც ფუტკრის გამრავლება გვინდა, რადგან წელს კარგი მოსავალი მივიღეთ.



Lia Laiburishvili, 55 / Village Ruispiri

I have not thought of leaving since then. I would not be able to handle it and I don't want to leave my husband either. We want to spend our remaining lives together.

I am a Georgian language and literature teacher and I worked as one, but then the school closed. I worked as a dressmaker in Telavi for 5 years, but the shop where I worked, closed as well. Then we had a shop for a little period, but we closed it too and then, we found ourselves in a desperate situation. I had no choice, but to leave and I went to Greece. I stayed there for exactly 9 years. I returned in December 2018; I have not thought of leaving since then. I would not be able to handle it and I don't want to leave my husband either. We want to spend our remaining lives together.

My husband is very hard-working, he works all the time. We bought bees and now my daughter is helping with that too. We have a large vineyard, Saperavi and Kindzmarauli. We have 200 peach trees, we grow watermelons, melons, cucumbers and tomatoes. We have a large farm. We bought chickens with IOM's assistance. We also have cows. We live in the village and naturally, we are engaged in agriculture. My husband works so hard; we only have one child, but despite the lack of help, he does not stop. We plan to continue breeding bees, because we had good harvest this year.







მარინა ოქროპირაშვილი 64 წლის / ქუთაისი

IOM-ის მხარდაჭერით ხილ-ბოსტნეულის მაღაზია გავხსენით ქუთაისის ბაზარში.

თავიდანაც იმიტომ დავტოვე საქართველო, რომ სამსახური აღარსად იყო. ადრე აბრეშუმის კომბინატში ვმუშაობდი, მერე ყველაფერი დაიხურა და უმუშევარი დავრჩი.

პირველად 2003 წელს წავედი საბერძნეთში ერთი წლით, თუმცა ჯანმრთელობის გამო მალევე დავბრუნდი. მერე 3 წლით წავედი და ისევ უკან ჩამოვედი. ბოლოს უკვე 2 წლით გავემგზავრე.

ბებიას ვუვლიდი საბერძნეთში.

სახლში დაბრუნებულს, ყველაზე მეტად, შვილთან ერთად ბიზნესის დაწყება მინდოდა. IOM-ის მხარდაჭერით ხილ-ბოსტნეულის მაღაზია გავხსენით ქუთაისის ბაზარში.

თავიდანაც იმიტომ დავტოვე საქართველო, რომ სამსახური აღარსად იყო. ადრე აბრეშუმის კომბინატში ვმუშაობდი, მერე ყველაფერი დაიხურა და უმუშევარი დავრჩი.




Marina Okropirashvili, 64 / Kutaisi

With IOM's assistance we opened a greengrocer's in Kutaisi market. I left Georgia because there were no jobs. I used to work in a silk industrial complex in the past, but everything closed and I was left without a job.

I first went to Greece in 2003 for one year, but I returned soon for health reasons. Later, I left for 3 years and came back again. I finally went there for 2 years. I was looking after an elderly lady in Greece.

After returning home, the thing I wanted most was to start a business with my son. With the assistance of IOM, we opened a greengrocer's in Kutaisi market. The first time I left Georgia was because there were no jobs. I used to work in a silk industrial complex in the past, but everything closed and I was left without a job.





ნელი გავაგელაშვილი 49 წლის / სოფელი ნაფარეული

მიყვარს ადამიანები და მათთან ურთიერთობა, ჩემს სახლშიც რომ მოსწონთ ყოფნა, ეს დიდი ბედნიერებაა.

პროფესიით ისტორიკოსი ვარ, უფრო სწორად, უკვე ყოფილი ისტორიკოსი.

ამჟამად საოჯახო სასტუმროს ბიზნესი მაქვს და ეს საქმე ძალიან მიყვარს, რადგან სულ სიახლეა გარშემო, ახალი ადამიანები ჩამოდიან, ახალი ისტორიებით. მიყვარს ადამიანები და მათთან ურთიერთობა, ჩემს სახლშიც რომ მოსწონთ ყოფნა, ეს დიდი ბედნიერებაა.

ორი ზედმეტი ოთახი მქონდა სახლში და გადავწყვიტე, რაღაც ახალი დამეწყო. საქართველოში რომ დავბრუნდი და სამსახურის პოვნა გადავწყვიტე, ასაკის გამო ყველამ უარით გამისტუმრა. ათენში ვცხოვრობდი 10 წელი და, როგორც აქედან წასული ყველა ემიგრანტი, ბევრს ვმუშაობდი. თავიდან ფრანგების ოჯახში მოვხვდი და ორ პატარას ვუვლიდი, მერე მათივე მეგობრების ოჯახში აღმოჩნდი. სულ ვამბობ, რომ ორი სამშობლო მაქვს. ძალიან მიყვარს საბერძნეთი, უამრავი რამ მასწავლა, თან ძალიან გამიმართლა, სულ კარგი ადამიანები მხვდებოდნენ.





Nelly Gavazelashvili, 49 / Village Napareuli

I love people and I love communicating with them. I am also happy that they enjoy staying in my house.

I am a historian by profession, or a former historian. We currently have a family hotel business and I love the job very much, because there are new things all the time, new people come with new stories. I love people and I love communicating with them. I am also happy that they enjoy staying in my house. I had two extra rooms in my house, and I decided to start something new. When I came back to Georgia and decided to find a job, everybody rejected me because of my age. I lived in Athens for 10 years and, as all migrants from Georgia, I worked hard. I worked for a French family at first, looking after two children. Then I found myself working for their friends. I always say, I have two motherlands. I love Greece, I learned so many things there, I was very lucky, I kept meeting good people.





ნიურა ნიჭაბაძე 72 წლის / ქუთაისი

2006 წელს წავედი და 12 წელი საბერძნეთში გავატარე. ახლა კი შინ ვარ და ქუთაისის ცენტრში ოჯახის წევრებთან ერთად კაფეც გვაქვს – სანაყინე.

2006 წელს საბერძნეთში წავედი და 12 წელი იქ გავატარე. მიმართლებდა, სულ კარგ ოჯახებში ვხვდებოდი. 2018-ში ჩამოვედი, დასვენების დღე საერთოდ არ მქონია. ემიგრაციაში ყოფნისას თვეში ერთხელ თუ გავყვებოდი ავტობუსს, რომ ოჯახისთვის ფული გამომეგზავნა და იმავე ავტობუსით სამუშაოზე ვბრუნდებოდი. ახლა კი შინ ვარ და ქუთაისის ცენტრში ოჯახის წევრებთან ერთად კაფეც გვაქვს – სანაყინე. ნაყინის აპარატი, როგორც დაბრუნებულ მიგრანტს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ შემიძინა. 7 ადამიანი უკვე გვყავს დასაქმებული და კიდევ ვფიქრობთ გაფართოებაზე; ვაფლს ჩემით, სახლში ვამზადებ და მომაქვს ყოველ დღით, თან სამზარეულოშიც მიყვარს ტრიალი.

ეს ადგილი ქალაქის ცხოვრებას თავის ნიშანს ამჩნევს. იმიტომ, რომ ასეთი კაფე ქუთაისში არც ისე ბევრია. სულ სხვადასხვა ასაკის ადამიანები დადიან. მგონია, რომ კმაყოფილები არიან, რაც ძალიან მახარებს.

ასევე, ქუთაისში უკვე ცნობილი პიცაც გვაქვს, მაგრამ დამატება გვინდა კიდევ რაღაცების. ვნახოთ, როგორ გამოგვივა.



Niura Nikabadze, 72 / Kutaisi


I left in 2006 and spent 12 years in Greece. Now I am back home and I have a family café — ice-cream parlor in the centre of Kutaisi.

I left Georgia in 2006 and spent 12 years in Greece. I was lucky, I was always working with good families there. I came back in 2018. In all my years of working, I did not have any days off. When I was in emigration, I was going back to Georgia by bus once a month to bring money to my family and I went back to work by the same bus. Now I am back home and I have a family café – ice-cream parlor in the centre of Kutaisi. The International Organization for Migration bought an ice-cream machine for me after my return to Georgia. I have 7 people employed and we are thinking of expanding our business; I make waffles myself at home and I bring them every morning. I enjoy working in the kitchen too.

This place makes an impact on the city because there are not many cafés like this in Kutaisi. People of all ages visit our café and I think they are satisfied, which makes me very happy.

Our pizza is already popular in Kutaisi, but we want to expand our menu. We'll see what comes out of it.





ნესტან დავითაძე 33 წლის / სოფელი ბობოყვათი

არასდროს მიფიქრია, რომ საზღვარგარეთ მომიწევდა წასვლა სამუშაოდ ოდესმე. ამის მერე უფრო თავდაჯერებულად კი გავხდი. არ მეგონა, ამდენის გაკეთებას თუ შევძლებდი, ახლა კიდევ ვიცი, რომ ყველაფერი შემიძლია.

პროფესიით ფილოლოგი ვარ და ახლა ვემზადები კვალიფიკაციის ასამაღლებელი გამოცდებისთვის. მყავს მეუღლე და ორი შვილი – 7 და 8 წლის, ბიჭები.

მეუღლე, სამწუხაროდ, უმუშევარია. დაცვის პოლიციაში მუშაობდა, მაგრამ შეამცირეს. ბაფხულობით დადის თურქეთში ჩაის საკრეფად. ჩვენი მანდარინი გვაქვს, რაც ასევე შემოსავლის წყაროა, მე სკოლაში ვარ. ჩემს მეუღლეს რომ გავყევი, მერე შევიძინეთ ეს სახლი. რთული იყო ამხელა თანხის გადახდა და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე საბერძნეთში წასვლა, რომ მემუშავა, დამეგროვებინა ფული და ჩამოვსულიყავი. 2017 წელს წავედი წელიწადნახევრით. თავიდან ბებიას ვუვლიდი, რომელიც ლოგინად იყო ჩავარდნილი, მერე ბავშვს – ალბათ შვილების მონატრებას ამით ვინაზღაურებდი, მაგრამ მაინც ვერ გავუძელი და ჩამოვედი. მინდოდა ჩემს ოჯახთან ყოფნა.







Nestan Davitadze, 33 / Village Bobokvati

I never thought that I would have to go abroad for work. I became more confident after the experience. I didn't think that I was able to do so much, but now I know that I can do anything.

I am a philologist by profession, and I am getting ready for qualification examinations. I have a husband and two children — boys aged 7 and 8. Unfortunately, my husband is unemployed. He used to work for the security police, but he lost his job due to downsizing. He goes to Turkey in summer during tea harvest. We grow tangerines, which is also a source of income. I am a teacher. When I married my husband, we bought this house. It was difficult to pay for it, so I decided to go for work to Greece, to save money and come back. I left in 2017 for a year and a half. At first, I looked after an elderly lady, who was bedridden. Then, I looked after a child — that was perhaps how I coped with missing my children, but I still couldn't bear it and I came back. I wanted to be with my family.





ოზემი აივაგაშვილი 70 წლის / სოფელი მატანი

ახლა რომ ვიხსენებ, როგორ წავედი ტყე-ტყე და
გადაპარვებით,
ხანდახან არც კი მჯერა, რომ ეს მართლა გადამხდა თავს.

შვილიშვილის ოპერაციისთვის საჭირო თანხის
შესაგროვებლად საბერძნეთში წავედი. თავიდან იტალიას
ვფიქრობდი. ლექსიკონიც კი მქონდა ნაყიდი და რაღაც
სიტყვებს ვსწავლობდი, მაგრამ საბოლოოდ საბერძნეთი
გადაწყდა.

ახლა რომ ვიხსენებ, როგორ წავედი ტყე-ტყე და
გადაპარვებით, ხანდახან არც კი მჯერა, რომ ეს მართლა
გადამხდა თავს. არავინ იცოდა, რომ ამას ვგეგმავდი,
არავისთვის მქონდა ნათქვამი. ჩემმა შვილმაც კი არ
იცოდა. მინდოდა, ვინმე ისეთს წავეყვანე, ვინც გადაიხდიდა
ყველაფერს და მერე, იქ რომ ვიმუშავებდი, გადავუხდიდი.
წასვლის ფულიც კი არ მქონდა.



Ozemi Aivazashvili, 70 / Village Matani

**When I think about how I went through the forests and how I snuck in,
I have a hard time believing that this happened to me.**

I went to Greece to earn enough money to pay for my grandchild's surgery.

Initially, I was planning to go to Italy. I even bought a dictionary and was learning some words, but finally, I decided to go to Greece instead. When I think about how I went through the forests and how I snuck in, I have hard time believing that this happened to me. Nobody knew that I was planning it, I hadn't told anyone. I wanted to make a deal with someone, who would pay for my travel and then I would pay them back. I didn't even have enough money to get there.



თამარ კოხია 28 წლის / თბილისი

ორსულად რომ ვიყავი, მე და ჩემი მეუღლე საბერძნეთში წავედით. ბიძაშვილი მყავს იქ და დაგვპირდა სამსახურს, მაგრამ ჩემმა ქმარმა ვერ იმუშავა. ძალიან რთული პირობები იყო, ისეთი არა, თავიდან რასაც გვპირდებოდნენ.

მხოლოდ სკოლა დავამთავრე, უნივერსიტეტი არა, სამწუხაროდ. ვფიქრობ, ჯერ კიდევ არ არის გვიანი, უბრალოდ ბავშვი მყავს პატარა და თან ვმუშაობ, ამიტომ ცოტა რთულია. ორსულად რომ ვიყავი, მე და ჩემი მეუღლე საბერძნეთში წავედით.

ბიძაშვილი მყავს იქ და დაგვპირდა სამსახურს, მაგრამ ჩემმა ქმარმა ვერ იმუშავა.

ძალიან რთული პირობები იყო, ისეთი არა, თავიდან რასაც გვპირდებოდნენ. შვიდი თვის ორსული ვიყავი, საქართველოში რომ დავბრუნდით. IOM-ის პროგრამის საშუალებით სარეცხის მანქანიდან დაწყებული, ბავშვის საფენებით დამთავრებული, ბავშვს ყველაფერი შევუძინეთ. ეს ძალიან დიდი დახმარება იყო, თან საბუთებიც არ გავვიფუჭა, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

ძალიან მინდა სამომავლოდ ჩემს მეგობართან ერთად პატარა ბიზნესი დავიწყო, ქალაქში უამრავი ტურისტია და პატარა კაფე რომ გვქონდეს, ალბათ შევძლებდით მის ამუშავებას.





Tamar Kokhia, 28 / Tbilisi

When I was pregnant, my husband and I went to Greece.

I have a cousin there and he promised us a job, but my husband couldn't manage it.

The conditions were very harsh, not like what was promised initially.


I only completed a high school; unfortunately, I don't have university education. It's still not too late for that, but I have a small child and I work too, so it is difficult.

When I was pregnant, my husband and I went to Greece. I have a cousin there and he promised us a job, but my husband couldn't manage it. The conditions were very harsh, not like what was promised initially. I was seven months pregnant when we came back. With IOM's support we bought everything – from washing machine to diapers for the child. This was a big help, and we didn't mess-up our documents either, which is very important.

I want to start a small business with my friend in the future. There are many tourists in the city and if we start a small café, we would probably be able to run it.







თამარ მეზვრიშვილი 44 წლის / თბილისი

წავედი, რომ ჩემს შვილს არაფერი მოჰკლებოდა.

პარიზში 4 წელი ვიცხოვრეთ, შემდეგ გადაწყვიტეთ გერმანიაში წასვლა და იქ ლტოლვილად ჩაბარება, უკეთესი პირობები არისო, ყველა ამას გვეუბნებოდა.

თუმცა იქ ცხოვრება საშინლად მახსენდება. სამი სხვადასხვა ეროვნების ოჯახი ერთად ვცხოვრობდით საერთო საცხოვრებელში, სადაც ძალიან პატარა სივრცე იყო. რ თქვა, რაც მე და გაბრიელი საქართველოში ჩამოვედით, ჩემი მეუღლე იქ დარჩა. ამ ეტაპზე წასვლაზე ნამდვილად არ ვფიქრობ, მეუღლეს სანახავად ჩავალ, რა თქმა უნდა, მაგრამ ცხოვრება აქ მინდა. IOM-ის დახმარებით საყოფაცხოვრებო ნივთები შევიძინეთ სახლისთვის. ძალიან დიდი დახმარება იყო ეს ჩემი ოჯახისთვის, იმიტომ, რომ ფაქტობრივად ცარიელ კედლებში შემოვედი და ახლა, რაც საჭიროა, ყველაფერი გვაქვს.



Tamar Mezvrishvili, 44 / Tbilisi

I left to provide for my child.

I lived in Paris for 4 years, then we decided to go to Germany as refugees, we heard that the conditions were better there. Yet, my memories of those days are terrible. We lived together with two other families of different nationalities in a tiny hostel. It has been 6 months since Gabriel and I returned to Georgia. My husband stayed there. At this stage, I am definitely not thinking of going back there. Of course, I will go to see my husband, but I don't want to live there. With IOM's assistance, we bought household items. It was a huge help for my family; when we moved in, all we had were bare walls and now we have everything we need.





თამარ ტორაძე 37 წლის / სოფელი მაღლაკი

აღარ მსურს შვილთან დაშორება და გაუცხოება, მიუხედავად იმისა, რომ პერსპექტივა შეიძლება იქ უკეთესი გვქონდეს.

მე და ჩემი მეუღლე არ წავსულვართ რაღაც ქონების შესაძენად ან ვალების გასასტუმრებლად. ორი შვილი გვყავს გარდაცვლილი და, როდესაც თბილისში მიიხრეს, რომ შვილი ვეღარ მეყოლებოდა, გადავწყვიტეთ, რომ თანხა დაგვეგროვებინა და ერთი ბავშვი გვეშვილებინა, ეს იყო ჩვენი მიზანი და ამის გამო წავედით.

ღმერთის წყალობით, 8 წლის შემდეგ, საბერძნეთში ჩვენი საკუთარი შვილი გაგვიჩნდა. ეს ისეთი სასწაული იყო, ვერასდროს შევძლებ სიტყვებით გადმოცემას. თუმცა, ამის შემდეგ, მეუღლეს შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები; ჩამოვედით, რომ თბილისში ოპერაცია გავგვეკეთებინა. ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ, კვლავ წავიდა და ახლა იქ, ქარხანაში მუშაობს ოფიციალურად, თანაც მეორე, მიმტანის სამსახურსაც ითავსებს. მე და ბავშვმაც ჩავაკითხეთ, მაგრამ შვილი ვეღარ შეეგუა იქაურ გარემოს, არაფერი მოსწონდა, ბაღში არ უნდოდა სიარული. 4 წლის ასაკში გამოვუშვი საქართველოში ჩემი ოჯახის წევრებთან და ახლა, როცა მეც დავბრუნდი, აღარ მსურს შვილთან დაშორება და გაუცხოება, მიუხედავად იმისა, რომ პერსპექტივა შეიძლება იქ უკეთესი გვქონდეს.

ახლა IOM –ის მხარდაჭერით სათბური მაქვს საკუთარ სოფელში და სიძესთან ერთად ვუვლი მას. ამ ეტაპზე ქინძი მაქვს; თუ გაამართლა, მინდა მერე გავფართოვდე და მეორე სათბურიც გავაკეთო და იქ ბულგარული მოვიყვანო.



Tamar Toradze, 37 / Village Maghlaki

My husband and I didn't emigrate with an aim to buy property or pay our debts. We have lost two children. In Tbilisi I was told that I couldn't have more children, so we decided to earn and save money and adopt a child. That was our goal and that is why we left.

Thank God, after 8 years of our life in Greece we had our own child. That was such a miracle that I will never be able to express it in words. However, my husband started to have health problems. We came to Tbilisi for surgery. After consulting with doctors, he went back and now he is legally working in a factory there; he also works as a waiter. My child and I went to see him, but my child didn't like the environment there and didn't want to go to the kindergarten. I sent the kid to Georgia to my family members at age of 4. And now that I have returned as well, I don't want to leave my child anymore and lose the connection, although there might be better opportunities abroad. With IOM's assistance I am managing a greenhouse in my village and I look after it with my brother-in-law. I now grow coriander. If all will go well, I want to expand and have another greenhouse, where I will grow bell peppers.



თქა წოწორია 38 წლის / ფოთი

ჩემი მეუღლე მსოფლიო ჩემპიონია კრივში,
მაგრამ სამსახური არ ჰქონდა და ამიტომ წავედით.

2016 წელს მთელი ოჯახი ვიყავით წასული გერმანიაში, უმცროსი შვილიც იქ შეგვეძინა. ჩემი მეუღლე მსოფლიო ჩემპიონია კრივში, მაგრამ სამსახური არ ჰქონდა და ამიტომ წავედით. გვეგონა, რადგან აქტიური სპორტსმენი იყო, იქ უკეთესი პირობები იქნებოდა, უფრო მეტი მიღწევები ექნებოდა, მაგრამ არ იყო ასე, ზუსტად 2 წლის თავზე უკან დავბრუნდით.









Thea Tsotsoria, 38 / Poti

My husband is a world boxing champion, but he is unemployed, which is why we left.

In 2016 our whole family went to Germany; our youngest child was born there. My husband is a world boxing champion, but he was unemployed, which is why we left. We thought that as he was an active sportsman, Germany would offer better conditions and opportunities. But we were wrong. We came back after exactly 2 years.

თეიმურაზ ქარსელაძე 38 წლის / ქუთაისი

ოჯახის მონატრებას ვერ გავუძელი და წამოვედი.

პროფესიით პედაგოგი ვარ – ფიზკულტურის მასწავლებელი, თუმცა არასდროს მიმუშავია ჩემი სპეციალობით. ამჟამად დისტრიბუციაში ვმუშაობ და ჩემი ყავის აპარატიც მაქვს, რომელიც ახლახანს შევიძინე IOM-ის პროგრამის საშუალებით, იმედია, გაამართლებს.

საზღვარგარეთ წასვლამდე უმუშევარი ვიყავი, ამიტომ ჯერ ინგლისში მქონდა გადაწყვეტილი წასვლა, მაგრამ მერე ირლანდია მირჩიეს და 8 თვე იქ გავატარე. ლტოლვილად ჩავბარდი, მაგრამ ოჯახის მონატრებას ვერ გავუძელი და წამოვედი.

სადმე წასვლაზეც ნამდვილად აღარ მიფიქრია, რაღაც გეგმები მაქვს ჩემი, პირადი დისტრიბუციის ბიზნესთან დაკავშირებით.



Teimuraz Karseladze, 38 / Kutaisi

I was missing my family, I could not take it, so I came back.

I am a teacher by profession — I am a physical education teacher, but I have never worked as one. I am currently working in distribution and I also have my coffee machine, which I have recently purchased through IOM's programme. I hope that my business idea will work.

I was unemployed before I went abroad, so I decided to go to UK at first, but then I was advised to go to Ireland and I spent 8 months there. I went as a refugee, but I was missing my family, I could not take it, so I came back. Since then, I haven't thought of going abroad. I have some plans for my distribution business.



Handwritten text in Georgian script on the background wall, including "ბაზარი" (Market) and "ბაზარი" (Market).



Handwritten text in Georgian script on the right side of the vending machine, including a phone number '05 97' and a list of items.



Handwritten text in Georgian script at the bottom left, including '0-70'.

თინა აბულაშვილი 58 წლის / სოფელი მათანი

ეს მაღაზია ძალიან მნიშვნელოვანი გახდა უკვე ჩვენი სოფლისთვის,
სულ რაღაც გჭირდება სახლისთვის და შორს სიარული აღარ უწევთ.

2004-ში წავედი და 7 წელი ვიყავი საბერძნეთში. სულ 4 ოჯახში ვმუშაობდი, მაგრამ, პარალელურად, ალბათ 10 ოჯახში მაინც დავდიოდი დასალაგებლად. მხოლოდ ერთი კვირა დღე გვქონდა დასვენების, მე ეგ დღე ორად გავყავი და ორ ოჯახში დავდიოდი და ვალაგებდი. უკვე ერთი წელია, რაც ჩამოვედი. მინდოდა, რომ წვრილმანების მაღაზია გამეხსნა აქ, სოფელში, სასოფლო-სამეურნეო. ცოტა მოშორებით ვართ ქალაქიდან. არადა, დიდი სოფელია და წვრილმანებზე ბევრს არ შეუძლია რომ ქალაქში წავიდეს. ძალიან მინდოდა ამის გაკეთება და IOM-ის დახმარებით შევძელი კიდევაც. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ფართი სხვისია და ქირაში ბევრის გადახდა მიწევს, მაგრამ ვნახოთ, რა იქნება. ეს მაღაზია ძალიან მნიშვნელოვანი გახდა უკვე ჩვენი სოფლისთვის, სულ რაღაც გჭირდება სახლისთვის და შორს სიარული აღარ უწევთ.

Tina Abulashvili, 58 / Village Matani

The shop has already become very important for our village, people always need things for their homes and now they don't have to go far to get all that.

I left in 2004 and lived in Greece for 7 years. I worked for 4 families in total, but in parallel, I was cleaning for at least 10 families. We only had one day off, which was Sunday. I divided that day in two and was cleaning on that day for two families. It's been a year since I came back. I wanted to open a small agricultural shop here, in the village. We are a bit far away from the town. Yet, it's a large village and many people cannot travel to town for small things. I wanted to do that and I managed to, with IOM's assistance. The only problem is that I do not own the space, so I have to pay a lot for rent. But we'll see how it will go. The shop has already become very important for our village, people always need things for their homes and now they don't have to go far to get all that.





it's
**FRIDAY
FRIDAY**



FRIDAY
FRIDAY
FRIDAY





თინათინ ქეხიშვილი 38 წლის / თბილისი

“ფიროსმანი” ერქვა რესტორანს, სადაც ვმუშაობდი მომღერლად, მაგრამ ჩამოსვლა ძალიან მინდოდა.

ქვრივი ვარ და ერთი შვილი მყავს, 14 წლის, ამიტომ გადავწყვიტე საბერძნეთში წასვლა.

2018 წელს ჯერ მოწვევით ვიყავი და მერე გადავწყვიტე სამუშაოდ დავრჩენილიყავი, მაგრამ მხოლოდ 4 თვით. “ფიროსმანი” ერქვა რესტორანს, სადაც ვმუშაობდი მომღერლად, მაგრამ ჩამოსვლა ძალიან მინდოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შვილიც ჩემ გვერდით იყო და დედაც საბერძნეთში მყავდა, მაინც საქართველოში დაბრუნება და ცხოვრება მინდოდა. ათენი პატარა საქართველოა, ფაქტობრივად, ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობს და მათი დახმარებით გავიგე ამ პროგრამის შესახებ, შემდეგ ბიზნესგეგმაც შევადგინე, რამაც წინ წამწია.

IOM პროგრამის საშუალებით ჩემი აპარატურა შევიძინე, რამაც სამუშაოს პოვნა გამიადვილა.

სამწუხაროდ, ჩემი პროფესია საერთოდ არ არის საქართველოში დაფასებული, მაგრამ მაინც მირჩევნია ჩემს სამშობლოში ვიყო, ვიდრე სადღაც შორს.

ახლა ერთ-ერთ რესტორანში ვმუშაობ თბილისში და ვგეგმავ ჩემი სიმღერების ჩაწერას, ამ შემართებით ვცხოვრობ.



Tinatin Kevkhishvili, 38 / Tbilisi

“Pirosmani” was a restaurant where I sang, but my desire to come back home was too strong.

I am a widow and I have one child, aged 14, so I decided to go to Greece. I went there on the basis of an invitation letter in 2018 and then I decided to stay there for work; I only stayed for 4 months. The name of the restaurant where I worked as a singer was “Pirosmani”, but my desire to come back home was too strong. Although my child and my mother were with me in Greece, I still wanted to return and live in Georgia. Athens is like little Georgia in fact, many Georgians live there. With their help, I heard about this programme, then I drew up a business plan and this helped me a lot. With IOM’s support I bought my equipment, which made it easier for me to find a job.

Unfortunately, my profession is not appreciated in Georgia at all, yet I still prefer to be in my country than somewhere far away.

I am currently working in one of the restaurants in Tbilisi and I am planning to record my own songs. I am living with that aspiration.





პარდო პაიკიძე 67 წლის / სოფელი ღრმაღელი

მე გამიმართლა, ჩვენმა ნავმა კი დაიწყო დაძირვა, მაგრამ უკვე ნაპირთან ვიყავით და გადმოვედით, სანამ წყლით აივსებოდა.

2007 წელს წავედი საბერძნეთში და 12 წელი იქ ვიყავი. ძალიან რთულად წავედი, გახსენებაც კი არ მინდა.

თურქეთამდე ავტობუსით ჩავედით. უსაბუთოები სულ 9 ადამიანი ვიყავით, მერე ჩამოვედით ერთ გაჩერებაზე და იქ რამდენიმე ადამიანი დაგვხვდა, წაგვიყვანეს რაღაც დანგრეულ სახლში, დაღამებამდე იქ ვიყავით, მერე ტყე-ტყე ვიარეთ, რაღაც პატარა ბილიკი მიდიოდა. საბერძნეთს და თურქეთს რაღაც პატარა მდინარე ყოფს, ჩავგვსვს ნავებში და გადაგვიყვანეს. მე გამიმართლა, ჩვენმა ნავმა კი დაიწყო დაძირვა, მაგრამ უკვე ნაპირთან ვიყავით და გადმოვედით, სანამ წყლით აივსებოდა. აი, ჩვენ უკან ვინც მოდიოდნენ, ჩაიძირნენ, მერე კიდევ ვიღაცის სახლში შეგვიყვანეს, საღამოს მანქანებში გადაგვანაწილეს და გაგვიყვანეს ცენტრალურ გზაზე, რომელზეც ავტობუსი უნდა გამოსულიყო.

ავტობუსი რომ გამოჩნდა, გაჩერდა, უცებ შეგვსვს საბარგულში, აი, სადაც ნივთები გადააქვთ. 12 საათი ვიმგზავრეთ ასე და ერთი ქალი გაგვეგუდა გზაში, მაგრამ, აბა, რა უნდა გვექნა, ხმასაც კი ვერ ვიღებდით.



Vardo Paikidze, 67 / Village Ghrmaghele

Our boat started to sink, but we were close to the shore and we managed to get out before it filled with water. I was lucky.

I left for Greece in 2007 and stayed there for 12 years. My journey was very difficult. I don't even want to think about it. We went by bus to Turkey. There were 9 of us without documents. Then we got off at one stop and we were picked up by several people, who took us to some ruined building where we stayed until it got dark. Then we went through forests, there was a narrow path. Greece and Turkey are divided by a small river, we were placed in boats for transportation. Our boat started to sink, but we were close to the shore and we managed to get out before it filled with water. I was lucky.

Those, who were behind us, sank. We were taken to somebody's house again. We were placed in some cars in the evening and driven to the central road, where we had to wait for a bus. When the bus finally arrived, we were put in luggage compartment in the bus. We traveled for 12 hours and one woman suffocated to death.








ზაირა კანდელაკი 67 წლის / სოფელი ციხესულორი

მეგონა, უკან მალე ჩამოვიდოდი, მაგრამ მთელი 10 წელი მომიხდა იქ გაჩერება.

2008 წელს საბერძნეთში რომ წავიდი, მეგონა მხოლოდ 3 წლით. მსურდა, რომ ჩემი შვილები ფეხზე დამეყენებინა, უმაღლესი განათლება მიმეცა, მე თვითონ საშუალო განათლება მაქვს და მათთვის უკეთესი მომავალი მინდოდა. მეგონა, უკან მალე ჩამოვიდოდი, მაგრამ მთელი 10 წელი მომიხდა იქ გაჩერება. პირველი ეტაპი იყო განსაკუთრებით მძიმე, როდესაც უნდა შეეგუო რაღაცეებს. ძალიან მძიმე სამსახური მქონდა და იმის გახსენებაც კი არ მინდა, გადაპარვით როგორ აღმოვჩნდი იქ. შარშან 2018 წელს ჩამოვედი და IOM-ის პროგრამის დახმარებით შევიძინე ორი ძროხა, კიდევ ორი ხბო მყავს, ყველს ვაკეთებ და ვყიდი, ხანდახან რძეს, მაწონსაც. შვილები თბილისში ცხოვრობენ. მე და ჩემი მეუღლე, რომელიც ყველაფერში მეხმარება, ვართ პენსიონერები და გვყოფნის საარსებოდ, რაც გვაქვს.








Zaira Kandelaki, 67 / Village Tsikhesulori

I thought that I would return soon, but I had to stay there for 10 years.

I went to Greece in 2008. I thought I would be away for 3 years only. I wanted to help my children, give them higher education. I do not have university education myself and I wanted a better future for them. I thought that I would return soon, but I had to stay there for 10 years. The first stage was particularly difficult, when you have to adapt to certain things. I had a very difficult job and I don't even want to think about how I snuck into Greece. I came back last year, in 2018, and I bought two cows with IOM's support. I have two calves, I produce and sell cheese, sometimes milk and matsoni too. My children live in Tbilisi. My husband helps me with everything. We are both pensioners and what we have is enough for us.





International Organization for Migration Mission to Georgia
12 Tengiz Abuladze Street, 1st Lane Vake District Tbilisi 0162 Georgia
Tel: (+995 32) 225 22 16
Fax: (+995 32) 225 22 17
E-mail: iomtbilisi@iom.int
Website: www.georgia.iom.int

